



სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო



KA000017037311620

თბილისი

№ 26/ს

12 / თებერვალი / 2020 წ.

ბრძანება - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ 2020 წელს განსახორციელებელი საგრანტო კონკურსის ჩატარების მიზნით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის ქვეპროგრამის არსობრივ ნაწილის, გრანტების გაცემის წესის და საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე

„სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 აგვისტოს N411 დადგენილების 2¹ და 2² მუხლის, ამავე დადგენილებით დამტკიცებული სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის ზ) პუნქტის, მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის, სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილის ქრისტინე კაპანაძის 2020 წლის 10 თებერვლის №02/79 მოწვევებითი ბარათის საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. დამტკიცდეს სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის ქვეპროგრამის არსობრივ ნაწილი წინამდებარე ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
2. დამტკიცდეს სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს გრანტების გაცემის წესი და საგრანტო კონკურსის დებულება წინამდებარე ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
3. დაევალოს სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული პირებისა და უფლებამოსილი სამსახურებისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა;
4. წინამდებარე ბრძანება, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6);
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ-ის „ახალგაზრდობის სააგენტო“
სააგენტოს ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელემტრონულად

რევაზ ჩარკვიანი